K 548/2

უფასოდ

ს. ს. ს. რ. განათლების სახ. კომისარიატი
სასკოლო სექტორი

პარლამენტის ბიბლიოთეკა

К. № 548

მთლიანი პოლიტექნიკური შრომის სკოლის წესდება

1932

სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახელგამის 1-ლი სტამბა. პლეხანოვის პროსპ. № 91.

მთავარლიტი № 806. შეკვეთის № 436. ტირაჟი 6.000.

სპეც-2000
შემოწმებულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთლიანი პოლიტექნიკური შრომის სკოლის წესდება.

I. ზოგადი დებულება.

1. „პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში, ე. ი. იმ პირობების მომზადების პერიოდში, რომლებიც შესაძლებლად ხდიან კომუნიზმის სრულ განხორციელებას, სკოლა უნდა იყოს არა მარტო კომუნიზმის პრინციპების გამტარებელი საზოგადოდ, არამედ პროლეტარიატის იდეური, ორგანიზაციული და აღმზრდელობითი გავლენის გამტარებელიც მშრომელთა მასების ნახევრად პროლეტარულ და არაპროლეტარულ ფენებში, რათა აღზარდოს ისეთი თაობა, რომელიც შესძლებს კომუნიზმის საბოლოოდ დამყარებას“ (ს. კ. პ. (ბ) პროგრამიდან).

საბჭოთა მთლიანი პოლიტექნიკური შრომის სკოლა მჭიდროთ აკავშირებს სწავლებას წარმოებითი შრომასა და საზოგადოებრივ მუშაობასთან. იგი მოწაფეებს აძლევს გარკვეულ — მტკიცე სასკოლო პროგრამის მოცულობის მიხედვით ზოგად განათლების ცოდნას, ამზადებს სავსებით მცოდნე ახალგაზრდობას, რომელიც კარგად ფლობს

მეცნიერების საფუძვლებს და როგორც პრაქტიკაში, ისე თეორიაში აცნობს მოწაფეებს წარმოების ყველა მთავარ დარგებს.

ამ მიზნით თვითეულ სკოლაში ეწყობა სასწავლო-საწარმოო ხელოსნობები და სამუშაო ოთახი, სპეციალურ ხელშეკრულების ძალით, სკოლები მიემაგრებიან სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს (საბჭოთა მეურნეობა, სამანქანო-სატრაქტორო სადგური, კოლმეურნეობა), სადაც სწარმოებს მოწაფეთა საზოგადოებრივ-წარმოებითი შრომა, რომლის სახე და შინაარსი განისაზღვრება და ექვემდებარება სკოლის სასწავლო და აღმზრდელობით მიზნებს.

2. საბჭოთა პოლიტექნიკური შრომის სკოლა არის მთლიანი სკოლა, ე. ი. ის ყველა თავის საფეხურზე მიზნად ისახავს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ერთ მთლიან ამოცანას და უზრუნველჰყოფს მოწაფეების დაუბრკოლებლად გადასვლას ერთი საფეხურიდან შემდეგ საფეხურში და ერთი ტიპის სკოლიდან მეორე ტიპის სკოლაში.

3. სკოლის მთელი მუშაობა აიგება გარკვეულად და ზედმიწევნით დამუშავებული პროგრამის, სასწავლო გეგმების და მეცადინეობის განრიგების საფუძველზე. სკოლის მოწაფეები და მასწავლებლები აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდენ სოციალისტურ მშენებლობაში, მუშათა კლასის ყველა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში და კაპიტალიზმის უკანასკნელი ფესვების აღმოფხვრაში.

სკოლა კისრულობს იმ ეკონომიურ და პოლიტიკურ ღონისძიებებიდან, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ატარებს, შეასრულოს „საერთო სრომის [illegible] რომლებიც ბავშთა და მოზარდთა ძალღონეს შეეფერება.

4. განსახკომის მიერ დაწესებულმა სკოლის პროგრამებმა უნდა უზრუნველჰყონ სოციალიზმის ყოველმხრივ განვითარებული მშენებლების მომზადება.

ამ მიზნის განხორციელებისათვის საჭიროა, რომ სკოლის პროგრამა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნილებას:

ა) უნდა შეიცავდეს სისტემატიზირებულ, ზუსტად შემოხაზულ, ზოგად განათლების ცოდნათა სავალდებულო მინიმუმს (ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, დედა-ენა, ისტორია, გეოგრაფია, ბუნებისმეტყველება, ხატვა-ხაზვა და სხვა);

ბ) უნდა შეიცავდეს სავალდებულო პოლიტექნიკურ მინიმუმს, რომელიც აცნობს მოსწავლეებს სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგების ორგანიზაციის და ტექნიკის საფუძვლებს: ენერგეტიკა (სათბობი და ელექტროფიკაცია), მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, სოფლის სოციალისტური მეურნეობა და აგრეთვე მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის ძირითადი საკითხები (ქვეყნის ქიმიზაცია, სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია და სხვა);

გ) უნდა იძლეოდეს ბუნების ძირითად მოვლენათა განვითარების კანონების მატერიალისტურ გაგებას, რო-

მელსაც თან სდევს რელიგიის და ცრუმორწმუნეობის წი-
ნააღმდეგ აქტიური ბრძოლა და მებრძოლ ათეიზმის
აღზრდა;

დ) უნდა იძლეოდეს საზოგადოებრივი მოვლენების მარქსისტულ-ლენინურ გაგების, კლასიური ბრძოლის ისტორიიდან მნიშვნელოვანი ფაქტების და კაპიტალისტური სამყაროს და საბჭოთა კავშირის განვითარების კანონზომიერების ცოდნას, კომუნისტური პარტიის, როგორც პროლეტარიატის ავანგარდის, გამძღოლი როლის, პროლეტარული დიქტატურის და მუშათა კლასის ორგანიზაციის ყველა ფორმის არსის გაგებას; მოწაფეთა ინტერნაციონალური აღზრდის განმტკიცებას, კომუნისტური პარტიის ნაციონალური პოლიტიკის შეთვისებას და აქტიურ მებრძოლ, სოციალიზმის მშენებელ ახალგაზრდობის მომზადებას;

ე) უნდა იძლეოდეს შრომითი პოლიტექნიკურ მომზადებას, რომელიც სწავლებისა და წარმოებითი შრომის შეერთების საფუძველზე უზრუნველყოფს შრომის სოციალისტურ ფორმების და წარმოების თანამედროვე ტექნიკის ძირითად სამუშაო იარაღის (ინსტრუმენტების) და მასალათა დამუშავების ხერხების პრაქტიკულ გაცნობას;

ვ) უნდა შეიცავდეს ფიზიკურ აღზრდას, რომელიც ხელს შეუწყობს ორგანიზმის სწორ განვითარება-გაჯანსაღებას, გამობრძმედს ორგანიზმს იმდენად, რომ ადვილად და უმტკივნეულოდ შეეძლოს მას გადავიდეს სამუშაოს ერთი სახიდან მეორეზე და უზრუნველჰყოფს ახალ-

გაზრდის იმ ფიზიკური თვისებებით აღჭურვას, რომელიც საჭიროა პროლეტარიატის მონაპოვართა დაცვისათვის;

ზ) უნდა შეიცავდეს მხატვრულ აზრდას, რომლის მიზანია — ხელოვნების საშუალებათა დახმარებით გაახვედროს მოწაფეებში კლასიური თვითშეგნება, რევოლუციონური ენტუზიაზმი, ინტერნაციონალიზმი და კოლექტივიზმი.

5. სასკოლო ცხოვრების მთელი წყობილებით და მუშაობით სკოლამ მოწაფეებს უნდა მისცეს:

ა) სოციალიზმის აღმშენებლობის ამოცანათა ნათელი გაგება და პროლეტარიატის კლასიური მტრის ცნობის და მის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის სურვილი და უნარი;

ბ) ამხანაგობის და ურთიერთ დახმარების გრძნობა, არა მარტო თავის ვიწრო კოლექტივში, არამედ მთლიანად მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის მიმართ, განურჩევლად რასისა და ეროვნებისა;

გ) შრომისადმი შეგნებული სოციალისტური დამოკიდებულება, მის ნაყოფიერების ამაღლებაზე ზრუნვა, საზოგადოებრივ ქონებისადმი მომჭირნეობა და თვითკრიტიკის და თვით შემოწმებისადმი მისწრაფება;

დ) „საერთო შრომის ამოცანების“ ირგვლივ სოციალისტური შეჯიბრების-და დაკვრითი მუშაობის გატარების, ერთი კოლექტივის მიერ მეორისათვის დახმარების გაწევის და მოწაფეთა თვითმოქმედების განვითარებისათვის მასიურ საშუალებათა გამოყენება-მოწყობის უნარი;

ე) ძველი წყობილების და ყოფა-ცხოვრების ყველა ნაშთის და სოციალისტური აღმშენებლობის ჩამშლელი ყველა მოვლენის (რელიგიური გავლენა, მესაკუთრეობა, ნაციონალური შოვინიზმი, ანტისემიტიზმი და სხვ.) წინააღმდეგ ბრძოლის სურვილი და უნარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. აღნიშნულ მიზნების მიღწევისათვის ფართოდ უნდა იქნეს გაშლილი მოწაფეთა თვითმოქმედება, ამიტომ საბჭოთა სკოლა მოწაფეებს ფართო თვითმართველობას აწიჭებს და კომკავშირსა და პიონერორგანიზაციას ბავშთა შორის მუშაობის გაშლისათვის ყოველგვარ დახმარებას უწევს.

7. სწავლება და მთელი მეცადინეობა მოწაფეთა მშობლიურ ენაზე სწარმოებს.

8. აღკრძალულია და სისხლის სამართლის წესით ისჯება ყოველგვარი სარწმუნოებრივი მოძღვრების სწავლება, საკულტო წესების შესრულება და მოზარდ თაობაზე ყოველგვარი რელიგიური ზემოქმედება სკოლაში.

მთელი თავისი მუშაობით სკოლამ მოწაფეებში უნდა აღზარდოს მატერიალისტური მსოფლგაგება და გაანთავისუფლოს ის (მოწაფე) ყოველგვარი ცრუმორწმუნეობისაგან.

სკოლამ აქტიური ბრძოლა უნდა აწარმოოს რელიგიურ გავლენასა და განწყობილებასთან, რა ფორმებშიაც არ უნდა გამოიხატებოდენ ისინი.

9. საბჭოთა სკოლაში ორივე სქესის ბავშვები ერთად სწავლობენ.

10. თავისი მუშაობის და ცხოვრების მთელი წყობილებით სკოლამ უნდა განამტკიცოს მოწაფეებში შეგნებული დისციპლინა და თვითდისციპლინა. ბავშვის დასჯა დაუშვებელია. იმ მოწაფეების მიმართ, რომლებიც შრომითი დისციპლინას არღვევენ, მოწაფეთა ორგანიზაციებმა, პედაგოგიურმა კოლექტივმა და სკოლის გამგემ უნდა მიიღონ ჩაგონების და ამხანაგური ზემოქმედების ზომები.

11. საბჭოთა მთლიანი პოლიტექნიკური შრომის სკოლა არის სახელმწიფო სკოლა და კერძო სკოლების არსებობა აღკრძალულია.

12. საბჭოთა მთლიან შრომის სკოლაში სწავლება უფასოა.

13. იმისათვის, რომ მცირე ხელფასის მქონე მუშების, მოჯამაგირეების და მოსახლეობის სხვა ღარიბი ფენების ბავშვებს შეეძლოთ ისწავლონ სკოლაში და არ დასტოვონ ის დამთავრებამდე — სახელმწიფო, სამეურნეო, პროფესიონალური, კოოპერატიული და სხვა ორგანიზაციების სახსრებით ეწყობა მათი მატერიალური დახმარება; ეს დახმარება იმაში გამოიხატება, რომ მოწაფეები უფასოდ (ან და ძლიერ იაფ ფასებში) მარაგდებიან სახელმძღვანელოებით, დამხმარე ხელსაწყოებით, ფეხსაცმელით, ტანსაცმელით, ცხელი საუზმით, ეძლევათ სტიპენდიები და საერთო საცხოვრებელში ბინა.

14. ყველა მოწაფე სკოლაში სარგებლობს უფასო ამბულატორული მკურნალობით და უფასო წამლით.

15. სკოლა, კომკავშირის და პიონერთა ორგანიზაციებთან ერთად, აწყობს ბავშთა და მოზარდთა შორის კულტურულ-მასიურ მუშაობას.

16. სკოლა მოსახლეთა შორის აწარმოებს მოზარდთაობის კომუნისტური აღზრდის მეთოდების სისტემატიურ პროპაგანდას და აქტიურად მონაწილეობს ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში.

17. მთლიანი პოლიტექნიკური შრომის სკოლის ტიპებს, რომლებიც შეფარდებულნი უნდა იყვნენ ქვეყნის სხვადასხვაგვარ სამეურნეო, ნაცონალურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებთან, ამუშავებს საქართველოს განათლ. სახ. კომისარიატი და ამტკიცებს სახკომსაბჭო. სკოლის ყველა რგოლი და ტიპი ურთიერთ თანამიმდევრობით უნდა იყოს დაკავშირებული.

II. მოწაფეები.

18. სკოლაში მიიღებიან შემდეგი ჰასაკის მოწაფეები:

ა) პირველ საფეხ. დაწყებითი სკოლის და შეიდწლიანი სკოლის პირველ ჯგუფში — 8 წლის ბავშვები;

ბ) საქ.-საფ. 7-წლედის და კოლმეურნე ახ. სკოლის მე-5 ჯგუფში 12-15 წლის ბავშვები.

19. იქ, სადაც შემოღებულია საყოველთაო სავალდებულო პირველდაწყებითი და 7 წლიანი საყოველთაო სწავლება, მშობლები და მეურვენი მოვალენი არიან შეიტანონ საფერისი ჰასაკის (პირველ დაწყებითი სკოლისათვის 8-11

წლამდე და მეორე საფეხურისათვის — 12-15) ბავშვები სკოლაში გაგზავნონ.

20. საფ. საქარხნო რაიონებში და იმ ადგილებში, სადაც საბჭოთა და კოლმეურნეობა — პირველ და მეორე საფეხურის სკოლასთან (სადაც საბავშვო ბაღი არ არის), ეწყობა მოსამზადებელი ნოლ-ჯგუფები.

21. მოზარდ, სასკოლო ასაკ გადასულ, ბავშვთათვის არსებობს ასაკგადასულთა საღამოს სკოლა და სკოლის გარეშე განათლების დაწესებულებები.

22. ბავშვებს სკოლაში იღებს სკოლის გამგე. სკოლაში შესვლისათვის საჭიროა, რომ ბავშის მშობლებმა, მეურვემ, ან თვით ბავშმა წარმოადგინოს წერილობითი საბუთები:

ა) დაბადების დროის;

ბ) მშობელთა სოციალური მდგომარეობის და

ვ) წინასწარ მიღებული ცოდნის შესახებ.

23. სკოლაში მიღება სწარმოებს ყოველგვარი გამოცდების გარეშე.

24. იმ პუნქტებსა და რაიონებში, სადაც შემოღებული არ არის 7 წლიანი სავალდებულო სწავლება, 7 წლედის მე-5 ჯგუფში მიღების დროს თანაბარი უფლებით სარგებლობენ, როგორც ამ შვიდწლედთან არსებული, აგრეთვე სხვა ოთხწლედ-დამთავრებული მოწაფეები, ე. ი. პირველთ მეორე საფეხურის სკოლაში შესვლის დროს არავითარი უპირატესობა არ ენიჭებათ.

25. ჯგუფიდან ჯგუფში მოწაფეების გადაყვანაც და სკოლის დამთავრების მოწმობის გაცემაც აწარმოებს სკოლის გამგე, მოწაფეების წლიური მუშაობის და წარმატების აღრიცხვის მიხედვით.

26. მოწაფეები, რომლებისათვის ნორმალური სკოლის პროგრამა დაუძლეველია, შემოწმებული უნდა იქნენ მედიკურ-პედაგოგიური თვალსაზრისით და ექიმის მითითებით უნდა გადაიგზავნონ სპეციალურ დამხმარე სკოლაში, ანდა რომელიმე საექიმო-სასწავლო დაწესებულებაში.

27. თითოეულ სკოლაში არსდება მოწაფეთა თვითმართველობა, რომლის მიზანია ჩააბას მოწაფეთა მთელი მასა პოლიტექნიკურ სკოლის მშენებლობაში და მათი სოციალისტურ აღმშენებლობაში უშუალო მონაწილეობით განამტკიცოს ახალთაობის კომუნისტური აღზრდა.

მოწაფეთა თვითმართველობის ორგანოებს ირჩევს მოწაფეთა საერთო კრება (ჯგუფების და მთელი სკოლის). სკოლაში საბავშო თვითმართველობის ორგანოების მუშაობა ისე უნდა იყოს წარმართული, რომ ხელს უწყობდეს სწავლების თვისების ამაღლებას და სკოლაში შეგნებული დისციპლინის განმტკიცებას.

სასკოლო თვითმართველობა აბამს მოწაფეებს სკოლის სასწავლო პროგრამის შესრულების, მოწაფეთა ზოგადი განათლების დონის მაქსიმალურად ამაღლების, სკოლის პოლიტექნიკურად გარდაქმნის და ბავშთა კომუნისტური აღზრდის გაძლიერების ბრძოლის საქმეში.

სასკოლო თვითმართველობა აბამს მოწაფეებს წარმოების და კოლმეურნეობების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში.

აბამს მუშებს, კოლმეურნეებს და მშრომელებს სკოლის საბჭოს, მისი კომისიების და დამხმარე საბჭოს მუშაობაში.

მოწაფეთა ორგანიზაციული დასვენების მოწყობის მიზნით შლის და აღრმავებს საკლუბო მუშაობას და ფართოდ ატარებს მოწაფეთა ურთიერთ-დახმარებას.

28. საბავშო თვითმართველობას იდეურად ხელმძღვანელობს სკოლის ა. ლ. კ. კ. და ნორჩ პიონერთა ორგანიზაცია.

29. პედაგოგიური კოლექტივი მუდმივ მონაწილეობას უნდა იღებდეს მოწაფეთა ორგანიზაციის მუშაობაში და ყოველნაირად ეხმარებოდეს მას, მაგრამ ეს დახმარება იმ სახით უნდა ხდებოდეს, რომ არ ჩაიხშოს მოწაფეთა ინიციატივა და თვითმოქმედება.

სასკოლო საბჭო ბავშთა თვითმართველობის ყველა ორგანიზაციაში გზავნის თავის წარმომადგენელს, რომელიც ყველა საკითხის გადაწყვეტის დროს სარგებლობს სათათბირო ხმის უფლებით.

30. ყველა თავის დადგენილებას მოწაფეთა თვითმართველობის ორგანოები აცნობებენ სკოლის გამგეს. თუ სკოლის გამგე არ ეთანხმება თვითმართველობის ორგანოს დადგენილებას, იმ შემთხვევაში საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტისათვის გადაიტანება განათლების განყოფილებაში.

III. მასწავლებლის შესახებ

31. მთლიანი პოლიტექნიკური შრომის სკოლის პროპაგანდის განხორციელებისათვის სკოლის მასწავლებელს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მასწავლებელთა შრომა სკოლაში ზუსტად უნდა იქნეს ჩამოყალიბებული და უზრუნველყოფილი ყველა იმ საჭირო პირობებით, რაც შესაძლებლობას მისცემს მას სისტემატიურად იმუშაოს თავის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

32. მასწავლებელზე ყოველმხრივ უნდა ზრუნავდენ და დახმარებას აღმოუჩენდენ მას, როგორც სასკოლო, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციები. განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდენ მასწავლებელს აგრეთვე იმ წარმოების მუშათა ორგანიზაციები, რომელზედაც მიმაგრებულია სკოლა, რათა განმტკიცდეს მისი (მასწავლებლის) როლი მოზარდი თაობის სააღმზრდელო და საგანმანათლებლო საქმეში.

33. მასწავლებელი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მატერიალურ და კულტურულ-ყოფა-ცხოვრებითი პირობებით, რათა შესაძლებლობა ქონდეს მას სისტემატიურად იმუშაოს თავის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და გაეცნოს წარმოების საფუძვლებს.

34. საზოგადოებრივ ორგანიზაციების მხრივ ფართოდ უნდა იქნას გამლილი დამკვრელ მასწავლებელთა ყოველგვარი წაქეზება და განსაკუთრებული დახმარება

უნდა აღმოეჩინოთ ახალგაზრდა მასწავლებლებს, რომლებსაც არა აქვთ საჭირო პედაგოგიური მომზადება.

35. მასწავლებლები სრული პასუხისმგებლობა არიან, რომ სასწავლო გეგმები და პროგრამები ზუსტად სრულდებოდეს, რომ ამაღლდეს მოწაფეთა წარმატება სასწავლო დისციპლინებში და გაუმჯობესდეს სკოლის საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მუშაობის ხარისხი.

IV. სკოლის მმართველობა.

36. სკოლის გამგე ხელმძღვანელობს სკოლის მთელ სასწავლო, აღმზრდელობით, ადმინისტრატიულ და სამეურნეო ცხოვრებას; იგი სრული პასუხისმგებელია, ერთმართველობის საფუძველზე, სკოლის მუშაობის მდგომარეობისათვის.

ყველა მისი სასწავლო და სამეურნეო ხასიათის განკარგულება სავალდებულოა, როგორც ქვემდგომი ადმინისტრაციისათვის, აგრეთვე მასწავლებელთა და სკოლის დანარჩენ მუშაკთათვის.

37. სკოლის გამგეს, რომელსაც უნდა ჰქონდეს პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობის სტაჟი, ნიშნავს განათლების განყოფილება.

კანდიდატურა შეთანხმებული უნდა იქნეს განათლების მუშაკთა პროფესიონალურ კავშირისა და იმ საწარმოს მუშებსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებთან, რო-

მელზედაც მიმაგრებულია სკოლა (ფაბრიკა, საბჭოთა მეურნეობა, კოლმეურნეობა).

38. სკოლაში გამგის გარდა, იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფების რიცხვი 10-ზე მეტია — სკოლაში წესდება გამგის მოადგილის თანამდებობა, თუ ჯგუფების რაოდენობა 20-ს აღემატება — ინიშნება ორი მოადგილე.

მოადგილეს ნიშნავს ან ხსნის სკოლის გამგე, რაიონულ განათლების განყოფილებასთან შეთანხმებით.

39. სკოლის გამგე, ატარებს რა სკოლის მუშაობის განმტკიცებისა და საწარმოო დისციპლინის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებებს, მთელი თავისი ორგანიზაციულ-ადმინისტრატიული ქმედობისა და ხელმძღვანელობის დროს, უყურადღებოთ არ სტოვებს და გამოიყენებს მასწავლებლობის და სკოლის სხვა მუშაკების შემოქმედებითი თანხობა — ინიციატივასა და თვითმოქმედებას; მაქსიმალური ყურადღებით ეკიდება სკოლის მუშაკთა მითითებებს ორგანიზაციულ, მეთოდიურ და სამეურნეო ნაკლოვანების შესახებ.

40. სკოლის გამგე მოვალეა ყოველნაირად დაეხმაროს სკოლაში სასწავლო-საწარმოო თათბირებს, რომლებსაც აწყობს განათლების მუშაკთა პროფკავშირი და სასწავლო-საწარმოო თათბირის მონაწილეთა ყურადღება დაამახვილოს სკოლის მუშაობის გადამწყვეტ საკითხებზე.

შენიშვნა: სასწავლო-საწარმოო თათბირი აწარმოებს თავის მუშაობას განსაკუთრებული დებულების საფუძველზე, რომელსაც გამოსცემს განათლე-

ბის მუშაკთა კავშირის ც. გ. განსახკომთან შეთანხმებით.

41. სკოლის გამგე პასუხისმგებელია, რომ მოწაფეები ნორმალურად დაიარებოდენ სკოლაში და მტკიცედ ასრულებდენ სკოლის სასწავლო გეგმებს და პროგრამებს.

მოვალეა დროულად დასდოს ხელშეკრულება წარმოებასთან და განსაზღვრულ ვადაში მოახდინოს ამ ხელშეკრულების რეალიზაცია.

გამგე პასუხისმგებელია, რომ თავის დროზე იყვეს სკოლა უზრუნველყოფილი სასწავლო და სამეურნეო ინვენტარით და მოწყობილობით.

42. მოწაფეთა ჯანმრთელობის დაცვა ევალება სკოლის ან რაიონის ექიმს, რომელიც მონაწილეობას იღებს სკოლის რეჟიმის მოწესრიგებაში (შრომა, ბავშვების დასვენება, მათი დატვირთვა) და უშუალოდ ხელმძღვანელობს მოწაფეების ჯანმრთელობის დაცვას. ამ მიზნით სკოლის ექიმი:

ა) ატარებს პირადად, ადგილობრივ საექიმო-სანიტარული დაწესებულებების მეშვეობით, მოსწავლე ბავშვების პერიოდულ საექიმო შემოწმებას;

ბ) აწარმოებს მოწაფეების ჯანმრთელობის მეთვალყურეობას;

გ) ხელმძღვანელობს მოწაფეთა შორის ჰიგიენურ ცოდნა-ჩვევათა გავრცელებას;

საქართველოს სახელმწ

დ) უშუალოდ, ან სათანადო საექიმო დაწესებულებათა მეშვეობით, ანხორციელებს საექიმო კონტროლს ფიზკულტურულ მეცადინეობაზე;

ე) ხელმძღვანელობს სკოლის გარემოს და პიონერთა ყოფა-ცხოვრების გაჯანსაღებას.

43. სკოლის ტექნიკური პერსონალი აწარმოებს სკოლის გამგის მიერ დაკისრებულ მუშაობას, ასრულებს მის მითითება-განკარგულებას და მონაწილეობას იღებს სკოლის საერთო ალმზრდელობით მუშაობაში.

სკოლა ყოველგვარ ზომებს იღებს ტექნიკური პერსონალის საზოგადოებრივი, პოლიტიკური და პედაგოგიური კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

44. ტექნიკურ პერსონალს არსებული კანონმდებლობის საფუძველზე ნიშნავს და ხსნის სკოლის გამგე.

45. სკოლა იმყოფება ადგილობრივი ალმასკომის განკუთვნილობაში და ინახება მის ბიუჯეტით.

46. თითოეულ სკოლაში საერთო დებულების საფუძველზე მუშავდება სკოლის შინა განაწესი, რომელსაც ამტკიცებს ადგილობრივი შრომის განყოფილება.

V. მშრომელთა მონაწილეობა სკოლის მუშაობაში.

47. საბჭოთა სკოლის ალმშენებლობის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს მშრომელთა ფართო ჩაბმა სკოლის ყველა საქმეში.

ამ მიზნით ეწყობა: სკოლის საბჭოები, მოწაფეთა მშობლების რეგულარული კრებები, სკოლის დამხმარე საბჭოები და მუშების, კოლმეურნეების და მოხელეების მოხალისეთა ბრიგადები. ამავე მიზნით წარმოებს მუდმივი ანგარიშგება მშრომელთა ფართო მასის წინაშე.

48. სასკოლო საბჭო წარმოადგენს სკოლის მუშაობის პროლეტარული კონტროლის ორგანოს. სასკოლო საბჭოში შედიან:

ა) ადგილობრივ საბჭოს ან აღმასრულებელი კომიტეტის, პროფესიონალური ორგანიზაციის, განათლების მუშაკთა კავშირის, ადგილობრივი, პარტიული და კომკავშირის ორგანიზაციების, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის, კოლმეურნეობის გამგეობის ან იმ კავშირის მუშკომის, რომელზედაც სკოლაა მიმაგრებული, ნორჩ-პიონერთა რაზმის, რომელსაც აქვს აღებული ამ სკოლის შეფობა და მოკამაგირეთა და ღარიბთა ჯგუფის თითო წარმომადგენელი;

ბ) სპეციალურ კრებებზე არჩეული მუშები და კოლმეურნეები იმ საწარმოსი, რომელზედაც მიმაგრებულია სკოლა;

გ) სკოლის მასწავლებლები, პიონერმეთაური, ტექნიკური პერსონალის წარმომადგენელნი და სკოლის ექიმი;

დ) მოწაფეთა ჯგუფების წარმომადგენლები (1-ლ საფეხურის მესამე ჯგუფიდან დაწყებული, თითო წარმომადგენელი ჯგუფიდან) და ერთი წარმომადგენელი მო-

წაფეთა საერთო სასკოლო თვითმართველობის ორგანოდან;

ე) მშობელთა წარმომადგენელნი (ერთიდან სამამდე). სკოლის საბჭოს თავმჯდომარეობს სკოლის დირექტორი.

49. სასკოლო საბჭო:

ა) განიხილავს სკოლის ცხოვრების ყველა ძირითად საკითხს და ღონისძიებათა პროექტებს, რომელთა საშუალებით უნდა ამაღლდეს სკოლის მუშაობის ხარისხი, გარდაიქმნას სკოლა პოლიტექნიკურ საფუძველზე და ამაღლდეს მოწაფეთა ზოგადი განათლება;

ბ) სახავს ღონისძიებებს, რომლებიც ჩააბამს სკოლას ქვეყნის, რაიონის, საწარმოს, კოლმეურნეობის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში და რაიონის კულტურული აღმშენებლობის საქმეში;

გ) განიხილავს ცენტრალური და ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების მითითებებს და განკარგულებებს, როგორც სახალხო განათლების, ისე ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ და ისახავს ღონისძიებებს, რომელნიც სკოლამ უნდა გაატაროს ამ მიმართულებით;

დ) ჩააბამს მუშების და კოლმეურნეების ფართო მასას სკოლის პოლიტექნიზაციის საქმეში;

ე) აწარმოებს სკოლასა და საწარმოს შორის დადებულ ხელშეკრულებას, ხელს უწყობს მოწაფეების წარმოებითი შრომის ორგანიზაციის საქმეს, როგორც სახელოსნოში და სკოლის სამუშაო ოთახში, ისე საწარმოშიც;

ვ) განიხილავს სკოლის მატერიალურ, სამეურნეო და სანიტარულ მდგომარეობის მთავარ საკითხებს, აწყობს ღონიძიებას მოწაფეთათვის სპეციალურ დახმარების და ნაშენის სკოლის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მშრომელთა ფართო მასას;

ზ) განიხილავს სკოლის პროგრამებს, საწარმოო გეგმებს და მუშაობის მეთოდებს.

50. სასკოლო საბჭოს თითოეულ წევრს ნება აქვს თავისი ინიციატივით საბჭოზე განსახილველად დასვას ყოველი საკითხი, რომელიც კი სასკოლო საბჭოს ექვემდებარება. სასკოლო საბჭო იკრიბება თვეში ერთხელ მაინც.

51. სასკოლო საბჭო არის სათათბირო ორგანო. სასკოლო საბჭოს დადგენილებები იმ საკითხების შესახებ, რომელთა განხილვა შედის ამ უკანასკნელის კომპეტენციაში, უნდა იყვენ ცხოვრებაში გატარებულნი, მაგრამ თუ სკოლის გამგე არ ეთანხმება სასკოლო საბჭოს დადგენილებას, უფლება აქვს შეაჩეროს დადგენილების განხორციელება და ამის შესახებ აცნობოს სახალხო განათლების განყოფილებას.

52. გამგე მოვალეა მოსწავლეთა მშობლების კრებები მოიწვიოს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ მაინც. კრებებზე დასწრების უფლება აქვს მხოლოდ იმ მშობლებს, რომლებიც საარჩევნო ხმის უფლებით სარგებლობენ.

53. სასკოლო საბჭოსთან ეწყობა სკოლის დამხმარე საბჭო, რომელიც წარმოადგენს მშობელთა გაერთიანების ორგანოს და რომლის მიზანია დაეხმაროს სკოლის პოლიტექნიზაციის მთელ მუშაობაში, ჩაებას სასწავლო-აღზრდით გვარ მუშაობაში და სკოლის პოლიტექნიზაციის გამტკიცებს საქმეში მუშები, კოლმეურნეები, მოწაფეთა მშობლები და ადგილობრივი ორგანიზაციები.

სკოლის დამხმარე საბჭოში შედიან: მშობლების წარმომადგენლები, რომლებიც საარჩევნო ხმის უფლებით სარგებლობენ.

სკოლის დამხმარე საბჭო ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს. საბჭოს მიერ შეკრებილ თანხებს ხარჯავს სკოლის გამგე მშობელთა კრებებისაგან დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

54. სკოლის დამხმარე საბჭო მუშაობის დროს ხელმძღვანელობს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულ განსაკუთრებული დებულებით.

სკოლის დამხმარე საბჭოს მუშაობას ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის განათლების განყოფილება.

სკოლის დამხმარე საბჭო რეგულარულად აბარებს ანგარიშს მშობელთა საერთო კრებებს.

VI. სახელმწიფო ორგანოების საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მოსახლეობის ურთიერთობა სკოლის მიერ ანგარიშგების საკითხებში

55. სკოლის გამგე მოვალეა წარუდგინოს სახალხო განათლების და სტატისტიკურ ორგანოებს შემდეგი მაჩვენებლები:

ა) ცნობები მიღებულ მოწაფეთა შესახებ, ბავშვთა მიღების დამთავრებისთანავე;

ბ) ანგარიში სკოლის სასწავლო და სამეურნეო მუშაობის შესახებ სასწავლო პერიოდის დამთავრების შემდეგ;

გ) სახალხო განათლების მიერ დაწესებული ჯუმლი სკოლის სასწავლო მუშაობის და მის მიერ მნიშვნელოვანი პოლიტიკური-სამეურნეო ღონისძიებების გატარებაში მონაწილეობის შესახებ.

ყველა საბჭოთა, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაცია საჭირო ცნობებისათვის მიმართავს სახალხო განათლების ორგანოს და უფლება არა აქვს დამოუკიდებლად მოსთხოვოს სკოლას დამატებითი ცნობები და ანგარიშები.

56. სკოლის გამგე, ან მისი მინდობილობით სკოლის მუშაკი მოვალეა გააკეთოს საანგარიშო მოხსენებები სკოლის მუშაობის შესახებ, როგორც მოქალაქეთა და მოწაფეთა საზოგადო კრებებზე, აგრეთვე პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშეც.

VII. სკოლის დაფინანსების წესი და მისი ქონების დაცვა-პატრონობა

57. სკოლის მთელი ქონება, როგორც სამშენებლო დამხმარე ანაგებობა, მოწყობილობა, ინვენტარი, სასწავლო ხელსაწყობები, ბიბლიოთეკა, სახელოსნოები, სამუშაოთახები და სხვ., სკოლის განკარგულებაში იმყოფება და სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენს, ამიტომ მათი ჩამორთმევა და სხვა დაწესებულებებისათვის ან პირებისათვის გადაცემა შეიძლება მხოლოდ რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის და განათლების სახალხო კომისარიატის თანხმობით.

58. სკოლის გამგეს სრული უფლება აქვს გამოიყენოს სკოლისათვის გადადებული თანხები თავის შეხედულების მიხედვით.

სკოლის ყოველწლიური შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვას და წლის დამთავრებისას სკოლის შემოსავალ-გასვლის ანგარიშს ადგენს სკოლის გამგე.

ყოველწლიურად არა უგვიანეს 1-ლი ოქტომბრისა უნდა დამუშავდეს და დამტკიცდეს სახალხო განათლების ორგანოების მიერ სკოლის ბიუჯეტი.

59. თითოეულ სკოლას თანახმად განსახკომის მიერ დაწესებული ნიმუშისა, აქვს თავისი ბეჭედი.

1932 წლ. 4 აპრილი.

ქ. ტფილისი.